# სახალხო ფურცელი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 603

დამატების № 108

კვირა, 19 ივნისი 1916 წ.




ა ვ ა რ ე ლ ი.—ნახატი ხალილ ბეგ მუსაევისა.

## ჩემი ბოლოსიტყვაობა

მომეცით ღვინო! მომეცით ღვინო!
უნდა დავითვრე უზომოთ დღესა,
უნდა ავდიდდე და მოვედინო
შარა-ქუჩების სიგანივრესა:
უნდა სულ წმინდათ მივლეწ-მოვლეწო,
გარდავაქციო ნაცრათ და მტვრადა,
თუ დარჩა სადმე რამ ერთიბეწო
ჩემი წარსულის მოსაგონრადა;
და არ ვინანებ, თუნდ ალვადგინო
ხალხისა გულში ჩემდამი ბრალი,
ოღონდ მომეცით, მომეცით ღვინო!—
მსურს გავხდე ბილწი და ნაძირალი!

—

როცა ეწვია გულს გაზაფხული,
ახალგაზრდობა ითხოვდა შვებას,
მე იმ აზრებში ვიყავ ჩაფლული,
თუ სიცოცხლის ხეს რა უნდა ებას.
ასე სინორჩეს მოვრჩი შრომაში
და მერე იცით რისთვის და რადა?—
ზოგმა დამიკრა ცბიერი ტაში,
ზოგიც ამიდგა მოსისხლე მტრადა
და რაღა დამრჩა?—ღვინოსა ვსვამდე,
მუდამ-დღე ვიყო უგონოდ მთვრალი,
ულვთოდ დავეცე სულით ხორცამდე,
გავხდე სულ ბილწი და ნაძირალი!

—

მთელი სიცოცხლე ტანჯვაში ილტვის,
სუ ძეგლებს ვაგებთ, ხელს არ ვასვენებთ
და ესე ვწვალობთ მხოლოდ იმისთვის,
რო მოვკვდეთ მაშინ, როს ავაშენებთ.
მაგრამ რას გვარგებს იგი ძეგლები?
სიკვდილის შემდეგ რას გაგვიყოფენ?
იქ მოვლენ მხოლოდ ცბიერი ძმები
და იმა მოსვლით შეურაცგვყოფენ...
ამიტომ ღვინო! მომეცით ღვინო
და დამიძახეთ უზომოდ მთვრალი!
ეხლა სულ უნდა მრუდეთ ვდინო!
ეხლა მსურს გავხდე მე ნაძირალი!..

—

უზომო ლხენით წრეს გადასული,
ღვინო—დაწინწკლულ ხელადით ხელში
შევიმღერ ლაღად ჩემი წარსული
მეცნიერების საკურთხეველში,
მცნებათა ფიცარს ავიღებ ხელთა,
სამხიარულო ხმით გავხსნი პირსა,
პანღურით გავრეკ მასზე მლოცველთა
და მცნებათ ფიცარს დავახლი ძირსა.
გავთელ... თვით ღვინით შევიპკურები,
ხოლო ქვეყანას გავძახებ მთვრალი:
მე აღარაფერს ვემსახურები!
მე გავხდი ბილწი და ნაძირალი!

—

მაშ ღვინო! ღვინო! მომეცით ღვინო!
უნდა დავითრო უზომოთ დღესა,
უნდა ავიმღვრე და მოვედინო,
შარა-ქუჩების სიგანივრესა:
უნდა სულ წმინდათ მივლეწ-მოვლეწო,
გარდავაქციო ნაცრათ და მტვრადა
თუ დარჩა სადმე რამ ერთიბეწო
ჩემი წარსულის მოსაგონრადა.
აღარც ვინანებ, თუნდ ალვადგინო
ხალხისა გულში ჩემდამი ბრალი,
ოღონდ მომეცით, მომეცით ღვინო...
მე გავხდი ბილწი და ნაძირალი!

ი. მჭედლიშვილი.



სახალხო მხატვარი ნიკო ფიროსმანაშვილი.



ქორწილი სოფლად.—ნახატი ნ. ფიროსმანაშვილისა.

# გულის მიება

(ნაწყვეტები ემიგრანტის დღიურიდან)

კაცსა მიჰხვდეს საწადელი, რას ეძებდეს უნდა პოვნა
მაშინ მისგან აღარა ჰხმას, გარდასულთა ჭირთა ხსოვნა.

**შოთა რუსთაველი.**

25 აპრილი.

რისთვის ასეთი დაღონებული და უკმაყოფილო დავბრუნდი დღეს პარტიული კრებიდან! თითქო ვისმე'ს შეურაცხყოფა მოეყენებინოს ჩემთვის და სამაგიერო პასუხი ვერ მეზღოს... ვტუქსავდი ჩემს თავს. ვემუქრებოდი ვილაცას და უკმაყოფილო გულის ძგერით საშინელ უმწეობას და არარაობას განვიცდიდი..

რატომ არ ჰქონდა ის სიცხოველე და აღფრთოვანება დღევანდელ კამათს, როგორც ეს წინად იყო ხოლმე! რატომ ჩემი გული არ იღებდა მონაწილეობას დღევანდელ სჯა-ბაასში,—არამედ როგორც დასჯილი ბავშვი კუთხეში მიმჯდარიყავი და გულის წუხილით კრების კამათს ყურს ვუგდებდი... არ მოძრაობდა ჩემი სული..

წინად კი, ჩემი არსება თრთოდა. ყოველი ჩემი კუნთი მოძრაობდა და გაცხარებული,—ატაკებულის გულით,—კამათში ვერეოდი.

გაყუჩებული ვიჯექი... ისინი კი, ცხარობდნენ, ერთმანეთს უტევდნენ, შეურაცხყოფას აყენებდნენ, ყვიროდენ და ურთიერთს ლაპარაკს არ აცლიდნენ... საკამათო საგანი კი სულ უბრალო კითხვა იყო, რაღაც ტაქტიკური საკითხი, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა. გარეშე მაყურებელს კი ეგონებოდა, ამ კითხვაზეა დამყარებული მთელი პროლეტარიატი'ს ბედ-იღბალიო... და მერე? კამათის დროს, საღი გონების მსჯელობით კი არ სარგებლობდნენ, არამედ ჯგუფური ქიშპობით,—თავმოყვარეობით. ყველა ცდილობდა თავისი გაეყვანა, სხვები დაემორჩილებინა და როცა ვერ თანხმდებოდნენ, კრების დატოვებით იმუქრებოდნენ, თითქო ეს გადაწყვეტდა კითხვას. და აკი სტოვებდნენ კიდეც! და ისედაც მრავალ ჯგუფებად დაყოფილ პარტიას, ახალ ჯგუფებს უმატებდნენ!

ხეჲაღ...ლია სამხედრო ცენზორისაგან. ტფილისი,

და ეთერს, მხედრის მკვლელობას.

ლები კი საუკუნოდ იყო დახუჭული!..



† ალოიზი შიხინოვი.



ირლანდიის ამბოხების მეთაური
როჯერ კეზმენტი.



პრაპ. ლეონტი ენდელაძე.
(მოკლულია)



ტფილისის გუბერნიის სახალხო მასწავლებელთა ყრილობა.

ალბად ცხოვრებისა და ბუნების კანონი სულ სხვა და სხვა ყოფილა! ბუნებაში ყველაფერი ერთდება, თანხმდება და შეერთებულის ძალით ერთი მიზნისკენ მიისწრაფება...

წარმტაცი და კეკლუცია პატარა მდინარე თავის დასაწყისში.

გიჟი და ცოფიანია იგი სადმე მთის მივარდნილ უბეში, მაგრამ აი, მის კეკლუცობას ბოლო ელება და გაშმაგებით ეშვება იგი დაბლობში, აქ მას სხვა მდინარე უერთდება, მერე კიდევ სხვა და ერთს მთელ მდინარედ ქცეული ზღვას უერთდება... და იქმნება დიდებული ზღვა—ოკეანე...

მაშ, რატომ დაბადებული აზრი არ ფართოვდება, რატომ პატარა აზრებიდან ერთი დიდი რამ არ აღორძინდება, ისეთი, რომელმაც ყველა პატარა აზრები შთანთქას, დიდ ოკეანედ იქცეს, მზიურ არსებად გახდეს, რომ ყველა მას ეტანებოდეს,—არამედ ისედაც პატარა აზრი, თავის მსვლელობაში უფრო უნდა დაქუცმაცდეს, გაიხრწნას... გაუგებარია ცხოვრების მსვლელობა...

ჩემი გული? ნეტა რად გაყუჩებულა იგი და მსვლელობა თვისი შეუწყვეტია? რატომ დამწუხრებულა ჩემი არსება და მოტეხილი ტოტივით ჩამოკიდებულა?

ჩემი გული, ჩემი გული!.. ნეტა სად არის იგი?..

**3 მაისი.**

მარტო ვარ ჩემს ოთახში, და ეს მარტოობა სევდას და კაეშანს მიათკეცებს. მგონია მთელი ცხოვრება მარტოობაში გამიტარებია...

სძინავს ყველას! მაგიდაზე თავდახრილი ჩავფიქრებულვარ და თვით არ ვიცი მოუსვენარი რათ ვარ! რა მაწუხებს, რა მინდა!.. მხოლოდ გული გაჩერებულა, ჩემი არსება კი ბორგავს, არ ისვენებს... თავში მკრთალად გაირბენენ სურათები წარსული ცხოვრებისა და სადმე ცოტა ხნით შეჩერდებიან, რომ რამდენიმე წუთით სინამდვილე ჩემი ცხოვრებისა დავივიწყო, პატარა ხნით ოცნებით დავტკბე, რომ მერე უფრო საგრძნობლად დავენარცხო ძირს და ჭიასავით უძლურმა იატაკზე ღოღვა ვიწყო...

სიჩუმეა... საკუთარი სულის თქმა მესმის... ფიქრთა გროვა, როგორც ქარისაგან არეული შემოდგომის ფურცლები, შრიალით და კვნესით დაფრიალობენ უგზო-უკვლოდ ჩემს თავში, სულს მიხუთავენ... არსაიდან ხმა... კვნესოდეს თითქო და შველას ითხოვდეს, ყრუდ მოისმის დაძინებული ქალაქის ქშენა-ხრიალი. .

მახათიანი თითებით ჩემს სხეულს ძალუმად ჩასჭიდებია, ირგვლივ გაფანტული სევდა-მწუხარება და განძრევის საშუალებას არ

მაძლევს... იქ კი, შორს, ჩემგან მიტოვებულ სამშობლოში, სადაც მხოლოდ სიყმაწვილე გამიტარებია, იქიდან კვლავ მომესმის წკრიალი ჩვენი საყდრის ზარისა, წყნარად და ტკბილად გაჟღრიალდება და მერე მიწყდება შორს, გულის კუნჭულში... მერე ჩემს მეხსიერებაში გაირბენს სურათი, სოფლის საყდართან რომ პატარა ბიჭები კოჭაობით თავს ვიქცევდით... საყდრის გვერდზე ღელე ჩაირბენს და ღელის იქით ორღობე იწყობა, და იქ ხომ ჩემი სახლია!.. აგერ ჩვენი ბაღჩა, ჩვენი ვენახი!.. აი, კიბის ქვეშ მიძინებული ყურშა წამოხტა და თათების ქნევით მომელაქუცა!.. აგერ, იქით, ვენახის ბოლოში, კაკლის ხე! მის ძირში ყანებია ყმაწვილური გატაცება და მერე... გაქრა ყველაფერი, თავბრუ დამხვევი სისწრაფით ჯურღმულში დაეშვა და... აი, ჩემი სევდიანი ოთახი!.. ტორტმანობს მთელი სხეული, ყელში მიჭერს ძვლებიანი ხელი, მახრჩობს... სული მეხუთება... მინდა ვიყვირო... მინდა წელში გავიმართო და ძვლიანი სხეული, გაფართოებული თვალებით თავს რომ დამდგომია, ძირს დავანარცხო, დავამსხვრიო... მაგრამ ისე მისუსტებული ვარ, რომ ადგომასაც ვერ ვახერხებ...

ვიცი ეს მდგომარეობა დროებითია, ვიცი რომ არსებულ წყობილების ბრალია, ვიცი რომ მალე დაინგრევა სულშემხუთველი პირობები და მერე გამობრწყინდება მზე დიდებული მომავლისა! მაგრამ გული ჩემი მაინც ვაებით სავსეა, სწუხს და გოდებს იგი!.. მას სითბო აკლია, რომ კვლავ ამოძრავდეს და სითბო იგი კი არ ვიცი სად იმყოფება...

რატომ იყო, რომ ნაცნობ ადგილებში ყოფნის დროს ძლიერად სცემდა იგი და ახლა კი, მიმქნარია!.. რატომ აქ კი არ შეუძლია კვლავ ამღელვარდეს და გიჟური გატაცებით, კვლავ ლტოლვა იწყოს?..

თუ გული ვიპოვე, მაშინ დავცემ ძირს იმ თვალებ-ღია არსებასაც... ოღონდ გული ვიპოვო მაშინ ამოვისუნთქავ თავისუფლად!..

**15 მაისი.**

როგორ იყო?.. ჰო, ქუჩაზე დავეხეტებოდი... მეც არ ვიცი როგორ გავჩნდი იადვიგას სახლის წინ! თითქო ჩემს მაგიერ ვინმე სხვას გადაეწყვიტოს, მის კარებთან შევჩერდი და მერე ისევ უკან გამოვტრიალდი. ცოტა გავიარე და მერე ისევ მის კარებისაკენ მივბრუნდი. რაღაც გამოურკვეველი ძალა მეზიდებოდა მისკენ. ვფიქრობდი და ვერ გადამეწყვიტა, შევსულიყავი მასთან თუ არა! მინდოდა მიზეზი მეპოვა, ამის ძებნაში ვიყავი. ბევრი აზრი მომივიდა თავში. ვიპოვიდი თუ არა რაიმე მიზეზს, მაშინვე უარსვყოფდი, რადგანაც უმნიშვნელოდ მეჩვენებოდა. თან უკვე გვიან იყო, საღამოს ცხრა საათი და ეს ძალიან მაბრკოლებდა... არა, არ შევალ, გვიან არის!.. რას იტყვის?..—მაგრამ რა უჭირს, ვითომ რატომაო?.. ვეტყვი შემთხვევით შენს ქუჩაზე გამოვიარე და ცოტა ხნით შემოვედი მეთქი!.. ვითომ რა უჭირს?..

უცბად ავირბინე კიბე და ზარი დავრეკე. კარი თვით იადვიგამ გამიღო.

ოჰ! თქვენ?.. და გაკვირვებული დარჩა. როგორ მოხდა რომ ჩემთან შემოიარეთ?

ქუჩაზე შემთხვევით გავიარე და ცოტა ხნით შემოვიარე თქვენსა ძლივს წავილუღლუღე დამზადებული ფრაზა.

ძალიან კარგი გიქნიათ! ძალიან კარგი? მეც ისეთი მოწყენილი ვარ!...

დაბრძანდით! თითქო ვგრძნობდი რომ შემოივლიდა ვინმე! აი, ჩაიც მზათა მაქვს!

გრძნობა, გრძნობა... იადვიგა გრძნობდა, რომ მასთან შევივლიდი! მაშ, რატომ დღეს მომივიდა თავში ასეთი აზრი?... და იადვიგასაც წინათგრძნობა აქვს! ღმერთო, რა კარგს გუნებაზე ვიყავი მთელი საღამო! ჩემი ჩავარდნილი ენა, ამდენი ხნის გაუნძრეველი, როგორ ამეტყველდა იადვიგას რომ შევსცქეროდი! ის სავარძელზე იჯდა, მე კი მას პირდაპირ შევსცქეროდი მის ჟუჟუნა თვალებს...

რა მოხდენილი და ლამაზი იყო დღეს იადვიგა! სულ სხვანაირად გამოიყურებოდა! გაცილებით ეშხიანი და მიმზიდველი იყო, ვიდრე ქუჩაზე, თავის ქუდის ქვეშ! შავი თმები, შუაზე გაყოფილი, ყვავის ფრთებივით ჩამოშვებულიყვნენ ორივე ყურის მხარეს და შეკულულებულნი, კისრისკენ გრეხით მიდიოდნენ. მსუბუქი და უბრალო ბლუზა ეცვა. სავსე ყელი მხრებისკენ განიერდებოდა და წინ წამოწეული, შვილდ-ისრივით დაჭიმული გულ-მკერდით თავდებოდა! იადვიგას მრგვალი, დიდრონი თვალები, შავი ქვის მაღაროსავით ღრმა და ბნელი, იმნაირად გამოიყურებოდნენ, თითქო ეს არის უნდა ჩამთქან და უფსკრულში დამაქანონო...

რატომ აქამდის ვერ ვამჩნევდი მის ჟუჟუნა თვალებს? რამდენი სინაზე ყოფილა იადვიგას არსებაში დაფარული და მე კი ვერ ვამჩნევდი!

მის ოთახშიაც იმდენი სითბო და მყუდროება იყო, რომ ჩემს გაციებულ გულის ადგილსაც ადვილად აღწევდა და მიმქრალ გულის კუთხეს აღიზინებდა, ამოძრავებდა!...

იადვიგა ჩაის სვამდა. მისი წვრილი და გრძელი თითები მსუბუქად დასრიალებდენ საჩაიეზე. შაქარს მთავაზობდა, ბუტერბროდებს და თან მიღიმოდა...

— ეს რა სურათია, იადვიგა? შევეკითხე და კედელზე ჩამოკიდებულ სურათზე მუვუთითე.

— ეს სურათი, ერთის პოლონელის უკანასკნელ ბრძოლის წუთებს წარმოადგენს, როცა მტრის ტყვიით განგმირული სულს ლევდა, თავისივე სისხლით კედელს მიაწერა: „ეშჩო პოლსკა ნე სიგნალა“-ო. ეს იყო პოლონეთის არსებობის უკანასკნელ დღეებში.

ძალიან პატიოსნები ხართ თქვენ, პოლონელები! შევნიშნე იადვიგას.

— თქვენ კი არ გიყვართ თქვენი სამშობლო?

— კი, როგორ არ მიყვარს, მაგრამ განა სულ ერთი არ არის საქართველო, პოლონეთი, საფრანგეთი, რუსეთი?... მე კაცობრიობა მიყვარს!

— ჰო, სრულებით დამავიწყდა, რომ თქვენ ინტერნაციონალისტი ხართ? მე კი რომ ქართველი ვიყო, ძალიან მეყვარებოდა ლამაზი და პოეზიით სავსე საქართველო!.. მართალია რომ იქ ხალხიც ლამაზია?

ოო, ჩემზე ნუ გასჯით იადვიგა! იქ ისეთი ლამაზი და ნაზი ხალხია, რომ დედამიწის ზურგზე არ მოიპოვება მსგავსი!

— უეჭველად როდისმე ჩავალ საქართველოში და იქაურობას, ვნახავ!

— უსათუოდ ნახეთ! უსითუოდ! ვეუბნებოდი იადვიგას და თან საქართველოს ბუნებას ვუწერდი, წარსულ ისტორიას ვუყვებოდი აწინდელ მდგომარეობას გადავცემდი; ვეუბნებოდი როგორი პატივისცემით ექცევიან ჩვენში ქალებს, ვიხსენიებდი ისტორიულ გმირ-ქალების სახელებს: ნინოს, თამარს, ქეთევანს... აღტაცებით ავუწერდი მის მთა-გორაკებს, მის ველ-მინდვრებს და გიჟმაჟ მდინარეებს და მეც თვით არ ვიცი, როგორ გამიტაცა ამ აწერილობამ, რომ მთლად აღელვებული და აკანკალებული იადვიგას სიცილმა შემაჩერა.

— აი, თქვე ინტერნაციონალისტო, თქვენა. ღიმილით მითხრა იადვიგამ და ჩაის ჭურჭლის დალაგებას მიყვა. საათს შევხედე და განცვიფრებული დავრჩი, შუაღამეს გადაცილებულიყო!—

— მაპატიეთ, იადვიგა! მაპატიეთ! რას იტყვის თქვენი დიასახლისი! ფეხზე წამოვდექი და ქუდს ძებნა დავუწყე.

— არაფერია, სრულებით არაფერი! ჩემთან ხშირად არიან ხოლმე ამ დრომდე!...

როგორი გაბრუებული, დარეტიანებული ჩამოვედი კიბეზე! ქუჩაზე რომ გამოვედი, ასე მეგონა სულ სხვა ქვეყანაში მოვხვდი მეთქი? ჩემი ნაცნობი ქუჩები სულ სხვანაირად მომეჩვენა... თავჩაღუნული, ფიქრებით სავსე დავბრუნდი ჩემს მოწყენილ ოთახში... და იადვიგა იადვიგა კი ჩემთან იყო გამუდმებული! აი, თვალებს ვხუჭავ და ის მიდგია თვალის წინ! მისი მოღიმარი თვალები, თითქო ესალმუნება ჩემს გულს და გულმაც ლამის ფეთქა იწყოს!.. ღმერთო ჩემო, იქნებ, გული ამოძრავდეს და მე ვიპოვო ჩემი გული... ჩემი გული, იადვიგა, მაპოვინე ჩემი გული!.

**დ. ლიხელი.**

(შემდეგი იქნება).

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან. ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა. სტამბა „ქართლი“. რედაქტორ-გამომცემელი **დ. ჯორჯაძე.**

ნება...ულია სამხედრო ცენზორისაგან. ტფილისი,

ლები კი საუკუნოდ იყო დახუჭული!...